

საქართველო

ქართული
საზოგადოებრივი
ტელევიზია

საორტული გაზეთი ოთხშაბათი 8 თებერვალი 2006 №27 (2649)

ფასი 50 თეთრი

TABULA RASA

გახსოვდეს, რომ ხარ ფეხბურთის რასა

„გერმანელი მწვრთნელებისთვის ქართული ფეხბურთი სუფთა ფურცელია, რასაც ჩაინიშნავენ, ის გამოჩნდება“ — გვითხრა აზერბაიჯანის ახალგაზრდულ ნაკრებთან გუშინდელი მატჩის შემდეგ კობა ჟორჟიკაშვილმა. რალფ მინგე და ჰაინც ტომპიოლერი სუფთა ფურცლებითა და კალმებით შეიარაღებულნი ენვივნენ „ოლიმპს“ და ნამატჩევს კომენტარის გარეშე დატოვეს ლოყა. საინტერესოა, რა ჩაინიშნეს საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანაშემწეებმა...




ჰაინც ტომპიოლერი და რალფ მინგე „სუფთა ფურცელს“ ჩაჭურებენ

მოგაპალი მდგომარეობა არ უნდა იყოს!


მსოფლიოს ჩემპიონი მოსულა და სიტყვა აღარ მოსულა?!

კაცი რომ სიტყვას იტყვი, უნდა შეასრულო, ხოლო, როცა ქვეყნისა და სხვათა ბედი გაბარია, მით უმეტეს. ათენის ოლიმპიადის შემდეგ საქართველოში ისეთი აჟიოტაჟი ატყდა, გაქცეულები სამშობლოში უნდა დავაბრუნოთო, ვიფიქრეთ, ამ ჩვენს სპორტსა და სპორტსმენებს რალაც ეშველებაო... დაბრუნებით ბევრი დაბრუნდა, მაგრამ... გიორგი გოგშელიძე 10 წლის წინ რუსეთში იმიტომ წავიდა, აქ საქმლის ფული არ ჰქონდა და... რუსებს ერთი მსოფლიო ოქრო მოუპოვა. ახლა კი ის საქართველოშია და, თბილისში კი არა, გორში ქირაობს ბინას.



გურამ დოღვენიძე

გურამ დოღვენიძე



*123#

- სიანცა
- ცოხობა
- მანქანები
- ნახაობები
- 18 +

- ჰომოსკოპი
- ჰანობის კახი
- ფახუხთი
- აბინი

GEO ჭამ



მიქსი MIX



wap.geocell.com.ge

- ჰონიფონიუხი მანქანები
- MP3
- ფახალი ფონები
- ფახალი ანიმაციები
- ჰიქომ
- ტაბები

- ტაბები
- ჰომბახები
- 18+
- ჰომოსკოპი
- ფახუხთი
- აბინი
- ჰანობის კახი

საპირის თურქული მარში აპსტრიულ უტურში — 4:1

გუშინ თბილისის „ამერიკა“ ანთალოური შეკრების ბოლო, მეოთხე ტესტ-მატი გამართა და ავსტრიული „შტურმი“ 4:1 დაამარცხა.

ამერელთაგან გოლები გრიგოლ დოლიძემ (36-ე წუთზე), დავით სევასტოპოლომ (38), გიორგი დეკანოსიძემ (69) და ვასილ ლუჭაშვილმა (83) გაიტანეს. სხვათა შორის, დეკანოსიძემ ბურთი პირდაპირ კუთხურიდან ჩაახვია გრაცელთა კარში. ერთადერთი, რაც „შტურმი“ შეძლო, კინკლა გოლია — ამერელთაგან ჩიკვილაძეს ქარი „წაეხმარა“ და ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა.

საინტერესოა, რომ ავსტრიელებმა წინასწარი შეთანხმება დაარღვიეს და „ამერიკის“ სათადარიგო შემადგენლობით ითამაშეს — მწვერთელმა მხოლოდ ძირითადის ოთხი

ფეხბურთელი გაიყვანა მოედანზე და მათ შორის არ იყო დავით მუჯირი.

მატჩის მე-10 წუთზე კი თურქი არბიტრი დაშავდა და თამაში სხვა მსაჯმა ჩაამთავრა.

გიორგი ჩიხრაძემ ავსტრიელებთან ასეთი შემადგენლობა ათამაშა: *ნადირაშვილი, დავითნიძე (ბერიანიძე 76), ჩიკვილაძე, ზვადგანი (ვარუწავა 67), გ. კახაძე (კლდლაშვილი 75), დეკანოსიძე (ტაბატაძე 77), ბოლქვაძე (დობროვოლსკი 66), დოლიძე (ხილაგავა 61), კოშკაძე (ნიკოლაიშვილი 75), დავითაშვილი (ლუჭაშვილი 70), სევასტოპოლო (ა. კაი-დარაშვილი 44).*

„ამერიკა“ შინ დღეს დაბრუნდება და სამეორეწრეო მზადებასაც თბილისში გააგრძელებს.



ჩერნიშოვი ქართველებს ქართულს ასწავლის

— მართალია, კვიპროსზე ძალიან კარგი პირობებია, მაგრამ „კორონასთან“ სათამაშოდ მასპინძლებმა მთლად უნაკლო მოედანი ვერ დაგვანებდნენ, მძიმე გრუნტი იყო. მატჩი ჩავამთავრე, თუმცა მერე მუხლმა შემაწუნა და დღეს ვეღარ ვივარჯიშე — გვითხრა სოსო გრიშაკაშვილმა — გუნდი ახლაც სავარჯიშოდაა, მე კი სატრენაჟოროში ვარ. ტრავმის მოშუშებას, ალბათ, ერთი-ორი დღე დასჭირდება.

— „კორონასთან“ შეუცვლელი მხოლოდ შენ იყავი, არადა, „დინამომ“ ორი შემადგენლობით ითამაშა...

— არ ვიცი, მწვერთელმა რატომ არ შემცვალა. ზვიად სტურუა და დავით ლორია ჯანმრთელად არიან, მაგრამ ჩერნიშოვი, რატომღაც ასე ჩათვალა საჭიროდ.

— ტრავმაც დატვირთვის ბრალია?

— არა მგონია. ასეთ მძიმე გრუნტზე თამაშს მიუჩვეველი ვიყავი. მატჩის შემდეგ სხვა ფეხბურთელებმაც იგივე თქვეს.

— ახალ მწვერთელზე რას გეტყვი?

— მეგობრული და ძალიან ამბიციურია. ანდრე ჩერნიშოვი უკვე დაიმსახურა გუნდის პატივისცემა. ყურადღებანია, ფეხბურთელები მასთან ურთიერთობისას თავს თავისუფლად ვგრძნობთ, ზოგადი განწყობაც მხიარულია, ვარჯიშები კი

მრავალფეროვანი და სასიამოვნოა. ხოლო ფიზიკურად მწვერთელი დატვირთვებს ისე აძლიერებს, ვერც ვგრძნობთ. მან იცის თავისი საქმე და ამბობს, თბილისში შესაბამისი ფიზიკური კონდიციებით და ვერუნდებით. მოკლედ, ახალი მწვერთელებით კმაყოფილი ვარ.

— ჩერნიშოვის ვარჯიშებში ახალი და განსაკუთრებული რა არის?

— თითქმის არაფერი. ყოველ შემთხვევაში, კახა ცხადადის შემდეგ ჩერნიშოვის სავარჯიშო მეთოდიკა ჩვენთვის უცხო არ ყოფილა. დღევანდელ ფეხბურთში ახალს არაფერს არაფერს იგონებს. ძალიან სასიამოვნოა, რომ ჩერნიშოვი ქართულად ლაპარაკს ცდილობს, ყოველ წუთს კი „დინამოს“ ისტორიას გვახსენებს და თავდაცვ ამაყობს, რომ ასეთი სახელგანთქანი გუნდის მწვერთელია. ზოგადად, ქართულ ფეხბურთის დიდ პატივს სცემს და თავდაცვ შემტევი, სანახაობრივი ფეხბურთის მიმდევარია. ბევრჯერ უთქვამს, ასეთი ფეხბურთი თქვენ კარგად იცით და ასე უნდა ვითამაშოთო. ინდივიდუალიზმის, იმპროვიზაციის მოყვარულია...

— ანუ რუსული ფეხბურთი მისგან შორსაა?

— მთლად ასეც ვერ ვიტყვი. ის უმკაცრეს სათამაშო დისციპლინას ითხოვს და შენიშვნებსაც მეტწილად ამის გამო გვაძლევს. დაცვაში კი მარტივ ფეხბურთს გვასწავლის, ბურთი უნდა მოიგერიო —

მერე საქმე შუა ხაზისა და თავდასხმის საკითხებზეა. ჩერნიშოვის ფეხბურთი ვალერი გაზავეისას ჰგავს, ანუ დაცვაში პრაგმატიზმია, თავდასხმაში კი მაქსიმალურად მეტი იმპროვიზაცია. ჩერნიშოვისთვის მოედნის ჩვენს ნახევარზე მინიმალური რისკიც კი მიუღებელია. კიდევ, მწვერთელი დიდ ყურადღებას უთმობს სტანდარტულ მდგომარეობებს. ვარჯიშს ის ხშირად აჩერებს და გვიხსნის, როგორ სჯობს თამაშში მოცემულ სიტუაციაში. ვარჯიშებისა და მატჩების თეორიული განხილვისას კი ჩერნიშოვი სათქმელს მარტივად და ყველასთვის ძალიან გასაგებად ამბობს. ერთი სიტყვით, ახალი მწვერთელებით დაწყებული, მოსამზადებელი პირობებით დამთავრებული, კვიპროსზე ყველაფრით კმაყოფილები ვართ.

— ამასობაში კი ორი ამხანაგური მატჩიც ჩაატარეთ. როგორ ატყობ, ჩერნიშოვისა და ცხადადის „დინამოს“ ძირითადი შემადგენლობები მნიშვნელოვნად განსხვავებული იქნება?

— არა მგონია. თუმცა ჩერნიშოვი „დინამოში“ მოსვლის შემდეგ დღემდე გვიმოკრებს — ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი გუნდში არავინაა, ძირითად თერთმეტ კაცში მოხვედრის შანსი ყველას თანაბრად აქვს და დანარჩენი თქვენი დასამტკიცებელიაო. ჩვენც ვცდილობთ...

კობა ინასარიძე



გიორგი დეკანოსიძემ „შტურმი“ კუთხურიდან ჩაახვია

რუსებს ჩვენს ვუბაბთ ზესტაფონმა პნერბიას იონა მსროლა

კვიპროსულ შეკრებაზე მყოფმა „ზესტაფონმა“ გუშინ მეორე ტესტ-მატჩი გამართა და რუსულ პრემიერლიგაში აღზევებულ ვლადივოსტოკის „ლუჩ-ენერჯის“ 1:0 სძლია.

ზესტაფონელებმა რუსებს ბევრი პრობლემა შეუქმნეს და სახიფათო მომენტებიც ჰქონდათ, თუმცა მათგან მხოლოდ ერთი გამოიყენეს — მატჩის 65-ე წუთზე ზურაბ იონანიძემ შორიდან გაისროლა და ბურთი „ცხრიანში“ გაახვია.

თემურ მახარაძემ გუნდი ასეთი შემადგენლობით ათამაშა: *ჭანტურია, შ. ლონდაძე, ს. თოდუა, კ. ჩხეტიანი, დამსაშვილი, ბ. ნოზაძე, ნუნდი (პანოვი), თურმანიძე (ვორვიაშვილი), ფიფია, იმედაძე, იონანიძე (გიორგიძე).*

შეგახსენებთ, რომ „ზესტაფონმა“ პირველი კვიპროსული მატჩი ასევე რუსულ „სატურნთან“ გამართა და 0:2 დამარცხდა. მომდევნო სპარინგების განრიგი კი ასეთია: 9 თებერვალს რუმინულ „არჯუშთან“, 13 თებერვალს — კორეულ „სეულთან“.

კახა ზალამბერიძე

თქვენი ინტეჩვიუ


კლავს ბოპეიოლერთან

მოგვართეთ! ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net


თქვენთვის კარგად ნაცნობი ამ რუბრიკის მორიგი რესპონდენტი საქართველოს ნაკრების ახალი მწვერთელი კლავს ტოპმიოლერი იქნება.

მოგვანოდეთ კითხვები და პერ კლავსთან ინტერვიუ არაუგვიანეს 12 თებერვლამდე გამოქვეყნდება.

იაქტიურეთ!



არ მასწავნებენ ფოტობრაფები... ბეჭეძეა უკუპარატი ანჯდრია



დევიდ ბეჭეძე რამონ პერესს ყელში სწვდა

დევიდ ბეჭეძე, როგორც იქნა, დაკარგა თავისი განთქმული სიმშვიდე. ფირზე აღბეჭდილია, როგორ ეჩხუბება ბეჭეძე ესპანელ რამონ პერესს სან რომანს და უყვირის: „რა ხდება? რა ხდება? რა ხდება? საღილო! სკოლაში! ჩემს სახლში! სკოლაში! საღილო!“

ახლა პერესი უარყოფს, რომ ბეჭეძის შვილებს ჯერ სკოლის შორიანხლოს დარაჯობდა, მერე კი სახლთან, რათა სურათები გადაეღო. ხოლო ფეხბურთელი ისე ჩააფრინდა ფოტობრაფს და იმდენ ხანს ანჯდრია, რომ შესაძლოა, ესპანურმა სასამართლომ შინაპატიმრობაც კი გამოუწეროს. ბეჭეძე პერესთან ჩხუბს არ დასჯერდა, თავის მცველებს უბრძანა მისთვის კამერა წაერთმიათ. მოკლედ, პაპარაცი, რომელიც მთელ ამ ამბავს თავადვე იღებდა, გვარიანად შეინჯდრა. თუ ბეჭეძე 12-დღიან შინაპატიმრობას ასცდა, მაშინ 25 ათასდოლარიანი ჯარიმის გადახდა მოუწევს.

ისე, ვიქტორიაც შორიანხლოს ტრიალებდა და წიოდა.

ირაკლი ბაგჩრაქიძე



ლუა ლუას ფვილის სიკვდილი დაუმალეს

გუშინ დილით „პორტსმუთის“ კონგოელ თავდამსხმელს, ლომანა ლუა ლუას შეატყობინეს, რომ მისი წლინახევრის ვაჟი ამოუცნობი ავადმყოფობით გარდაიცვალა.

კონგოს ფეხბურთის მამები თურმე ორი კვირის განმავლობაში უმაღლედნენ ამ ტრაგიკულ ამბავს თავიანთი ნაკრების 25 წლის კაპიტანს, რადგან არ უნდოდათ, რომ მას აფრიკის თასის გათამაშება მიეტოვებინა. უბედურმა მამამ შვილის სიკვდილის ამბავი მხოლოდ მას შემდეგ შეიტყო, რაც მისმა გუნდმა მეოთხედფინალში წააგო. სწორედ აფრიკის თასის დღეებში ლუა ლუამ ინტერვიუ მისცა ერთ გაზეთს, სადაც ამბობდა, ვამყოფ, რომ სამი ვაჟის მამა ვარო.

საერთოდ, ლუა ლუა უნიკალური ბედის კაცია: კონგოში ისე გაიზარდა, რომ ბურთისთვის ფეხი არც მიუკრავს და მხოლოდ ლონდონში ჩასვლის შემდეგ დაიწყო თამაში და ნიჭიც გამოავლინა. ადრე ის „ნიუკასლში“ თამაშობდა, ახლა კი მის ყიდვას „ტოტენჰემი“ აპირებს.

ირაკლი ბაგჩრაქიძე



ტორანის ტრანსფერი: დიდი ფული თუ კალიან დიდი ფული?

მადრიდის „ატლეტიკოს“ ცხელი სატრანსფერო ზაფხულის გადატანა მოუწევს ფერნანდო ტორესს კონტრაქტით „ათლეტებთან“ კიდევ ორი წელი აკავშირებს, ოღონდ „ვისენტე კალდერონზე“ ყველა ხედება, რომ „ელ ნინიოს“ ევროპულ გრანდთა სატრანსფერო შემოსევისგან ვერავინ დაიცავს. პრიმერადივიზიონის ბოლო ტურში „ბარსელონასთან“ შესანიშნავმა თამაშმა (კატალონიელებს ორი გოლი შეუგდო) დიდ გუნდებს „ატლეტიკოს“ კაპიტანის ხელში ჩაგდებას სურველი გაუძლიერა. ფერნანდო ტორესი მარტში 22 წლის გახდება.

ამ ასაკში „ელ ნინიოს“ დარი აწმყოთი და სავარაუდო მომავლით ძალიან ცოტა ფეხბურთელი თუ დაიტრახება.

რომან აბრამოვიჩის „ჩელსი“ იმ კლუბთაგანია, ფერნანდოს გადასაბირებლად გააფთრებით რომ იბრძვის. მადრიდული „ასის“ ცნობით, ლონდონელები მზად არიან, ტორესში 40 მილიონი ევრო გადაიხადონ. „ჩელსის“ „ათლეტთა“ კაპიტანის ყიდვა ადრეც უცდია, მაურინიუს მისი თამაში ძალიან მოსწონს. ალბიონზე ესპანელი ფორვარდი ერთობ დაფასებულია — ამას წინათ „ტოტენჰემმა“ „ატლეტიკოს“ ფერნანდოს სანაცვლოდ 30 მილიონი ევრო შესთავაზა. შარშან კი „ნიუკასლიც“ აცხადებდა „ელ ნინიოზე“ პრეტენზიებს. „კაჭკაჭები“ 38 მილიონს იმეტებენ, თუმცა „სენტ ჯეიმს პარკზე“ გადასვლის იდეა თავად ტორესს არ მოუვიდა თვალში. მაშინ ფერნანდო „ბარსელონას“ სატრანსფერო სამიზნეზე იყო.

„ატლეტიკოს“ თავაკაცებს მრავალჯერ უთქვამთ, ტორესს არავითარ შემთხვევაში არ გავყიდითო, თუმცა რახან უცხოური გრანდებიდან სატრანსფერო წინადადებები სულ უფრო წამლეკავი ხდება, მადრიდელებს ორი გამოსავალია დარჩენილი — ან „ელ ნინიო“ სეზონის ბოლოს ფანტასტიკურ თანხად გაასხვისონ, ანაც ერთი წლით მოიცადონ და უფრო მოღიჯიერებული მოიერიშის სანაცვლოდ მთლად შეგავალტყიკური ფული ჩაივლინ ხელში. ვნახოთ, „ელ ნინიო“ 2006 წლის გერმანიის მუნდიალზე როგორ ითამაშებს, მსოფლიოს ჩემპიონატის მერე მისი ფასი ალბათ ერთიორად გაიზრდება.

ამასობაში კი „ჩელსის“ გარდა სხვა ვიგანტებიც აღძრულან. „მილანსა“ და „იუვენტუსს“ შორის ესპანელზე შიდაიტალიური ომია გაჩაღებული. რაც ფერნანდომ „ბარსელონა“ დაჩაგრა, ვინძლო მისი ტრანსფერი ძალიან დაჩქარდეს.

ლადო ხომერიკი

ალანი და, რა კასი იყო ჯაკი

ცხრა წელიწადზე მეტი დასჭირდა ალან შირერს, რათა „ნიუკასლის“ ისტორიაში მთავარი მეოთხე შექნულიყო.

2006 წლის 4 თებერვალს 35 წლის შირამ თავისი 201-ე გოლი გაიტანა ამ გუნდის სამოსში და ლეგენდარული ჯაკი მილბერნის 49-წლიანი რეკორდი დაამხო.

თავად ჯაკი მილბერნი კი ისეთი ფეხბურთელი იყო, რომ ორი რაინდის, სტენლი მეტიუზისა და ტომ ფინეის გვერდით მოიხსენიებდნენ. მას გოლების დილოსტატად იცნობდნენ და, შირერისა არ იყოს, ჯორჯი გახლდათ.


ალანისგან განსხვავებით, ნაკრებში მხოლოდ 13-ჯერ ეთამაშა, რაც მაშინდელი პრესის მუღმივი და-

ვის საგანი იყო — ჯეროვნად ვერ აფასებენო. მილბერნი საქეყნო ვარსკვლავად 1951 და 1955 წლების თასის ფინალებში გატანილმა გოლებმა აქცია. თავისი 200 ნიუკასლური გოლი ჯაკიმ თერთმეტ სეზონში გაიტანა, მერე კი ფეხბურთს გამოეთხოვა.

ისევე როგორც ალანი, ის ძველი ინგლისური, მუშათა კლასის ოჯახიდან იყო: თავმდაბალი და ჩვეულებრივი. მის დროში ფეხბურთელები კვირაში 2-3 გირვანქას იღებდნენ, კარიერის დასრულების შემდეგ კი ჩვეულებრივად მუშაობდნენ.

ჯაკი ნიუკასლის სიყვარული იყო: 1988 წელს, მისი დაკრძალვის დღეს ნიუკასლში გაჩერდა მოძრაობა, გადაიკეტა ქუჩები და სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა.

ირაკლი ბაგჩრაქიძე



„შირაშ“ ჯაკი მილბერნს გაასწრო



არ შეგბრძებათ! ფიფამ თურქეთს თავ-ბედი აფყვლინა

მუნდიალის შესარჩევი საპლეიოფო მატჩი თურქეთი — შვეიცარია გეხსომებათ? ისიც გეხსომებათ, რომ ის თამაში ფეხბურთელთა მასობრივი ჩხუბით დამთავრდა, მწვრთნელები და სტადიონის დაცვის პერსონალიც კი მუშტებს იქნევდნენ. ფიფამ მაშინვე განაცხადა, ყველაფერ ამას მკაცრი სანქციები მოჰყვებოდ და აასრულა კიდევც.

თურქეთის ნაკრები 6 ოფიციალურ მატჩს ნეიტრალურ სტადიონზე, უმყურებლად გამართავს. ამდე-

ნივე მატჩით ფიფამ ორი თურქი ფეხბურთელი, ემრე და ალფაი, პლუს ერთი შვეიცარიელი ბენჟამინ ჰუგელი დასაჯა. ჰუგელმა თურქეთის ნაკრების ერთ-ერთ მწვრთნელს, მეჰმეთ ოზდილევს დაარტყა. თავად ოზდილევს კი ერთი წლით საფეხბურთო საქმიანობა აეკრძალა, რადგან ისიც ცემა-ტყეპაში მონაწილეობდა. გარდა ამისა, თურქეთი 200 ათასი შვეიცარიული ფრანკით დააჯარიმეს, რამდენიმე ფეხბურთელს კი შედარებით მცირედი ფულადი ჯარიმები ააკრეს.

პრიმერაში ზედიზედ თოთხმეტმატრიანი ფიესტა „ბარსელონას“ „ატლეთიკოსთან“ ნაგებამ ჩაუმნარა.

პრიმერა ბარსელონა და ატლეთიკოსთან



— კვირას „მესტალიაზე“ ვალენსიასთან თამაშობთ. რას აკეთებთ ძალების აღსადგენად? — ვალენსიელებთან შეხვედრის წინ სიმშვიდე და დასვენება საჭირო.

— თქვენმა გუნდმა „ატლეთიკოსთან“ საშინლად ცუდად ითამაშა. „ბარსელო“ გულშემოტივართა დიდმა ნაწილმა „კამპ ნოუ“ მატჩის დამთავრებამდე დატოვა... — ამაში ვერანაირ კატასტროფას ვერ ვხედავ.

ვლით. „ატლეთიკოსთან“ მარცხის რით ახსნით? — თამაში არ გამოგვივიდა. ბევრი შეცდომა დაუშვით და სასჯელიც მძიმე აღმოჩნდა.

ჰანიბალი ათი შაურად

ბასულ უმძიმეს შემთხვევაში — „არმინიას“ მატჩის მე-19 წუთზე მასპინძელმა ჰალიდ ბულარუზმა სტუმარ ფატმირ ვატას ფეხი გამეტებით ჩაარტყა.



ვატას თავი მეტოქის ფეხებში ფატმირ ვატამ ტაში დაუკრა და კიდევ უფრო გააზულა მასპინძელი ქომაგები.

რას შედეგად ატარებს მატჩები... მონბერმა, რეალი კიბელი მეტოქეთა

ლონდონის „არსენალის“ და მრიგებელი არსენ ვენგერი ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში „მეთოფეთა“ მეტოქის, მადრიდის „რეალის“ გაძლიერებით შემოუთვბუნი ჩანს.

პრიმერაში „არსენალი“ ლიდერ „ჩელსის“ 26 ქულით ჩამორჩება, ხოლო თასებზე მარცხს მარცხზე განიცდის.

ვა არ შეაწყობებს, ჩვენს მცველებს ყველაზე მეტად ის გააწყობებს. თან მადრიდში მსოფლიოს ორი საუკეთესო პასის ოსტატი ჰყავთ — ზიდანი და ბექემი.

კაპიტანი სიმონე და დინაურა



ლიგო სიმონე სამწვრთნელო კარიერას იწყებს. არგენტინულ „რასინგს“ მალე 35 წლის ვეტერან ნახევარმცველს ჩააბარებენ.

ჩაუდგება სათავეში. იქამდე კი, როგორც კაპიტანი „რასინგს“ „ველეს სარსფილთან“ და „ესტუდიანტოსთან“ გაუძღვება.

ინგლისი ჩემპიონატი XXXII ტური

Table with 3 columns: Team, Goals, Points. Lists results for various teams like Reading, Sheffield, etc.

პორტუგალია სუპერლიგა XXI ტური

Table with 3 columns: Team, Goals, Points. Lists results for teams like Porto, Benfica, etc.

საფრანგეთი II ლიგის ტური XXIV ტური

Table with 3 columns: Team, Goals, Points. Lists results for teams like Sedan, Bastia, etc.

გერმანია II ბუნდესლიგა XX ტური


Table with 3 columns: Team, Goals, Points. Lists results for teams like Bochum, Leverkusen, etc.

საბურთაო პროვინციული ლიგა XVIII ტური

Table with 3 columns: Team, Goals, Points. Lists results for teams like Olimpiyatskiy, etc.

რეკლამა სარბიელ-ში. სატელეფონო: 38-11-14, 877 54 55 00.

ორი დღეს და...




ხვალ არადა ზევ, მთელი ბრწყინვალეობით ავიზვიზდება ეს ოლიმპიური ჩირაღდანი, ასე სახევაბადრულს რომ ჩაუბღუჯავს ოდინდელ ფრანგ ოლიმპიურ ჩემპიონ ჟან-კლოდ კილის.

სწორედ 10 თებერვალს იხსნება ზამთრის ოლიმპიური თამაშები, რომელსაც ტურინი მასპინძლობს. ამ გრანდიოზული ტურნირის დაწყებამდე საათებილა რჩება და, ცხადია, ორგანიზატორებს ყველაფერი მზადყოფნაში მოუყვანიათ.

ამ ფოტოებიდან კარგად ჩანს, რომ ყველაფერი ოლიმპიადის მოლოდინშია — ტრიბუნაზე მავანი ფუსფუსებს, აქეთ მესნოებორდე დაფრინავს, იქით კი ტურინის დათოვლილი პეიზაჟი მოჩანს.

ორი დღის მერე რომ გადაუღონ ამ არემარეს ფოტო, დაგვერწმუნეთ, იმდენ ადამიანს ნახავთ, დათვლასაც ნუ ეცდებით.

ასე რომ, სულ რაღაც ორი დღე და...



სპორტული გაცემი
გამოიცვამა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ჯორჯ ჯორჯაძე
დირექტორი გიორგი ოქროშაძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიხრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი პანა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა შუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქტორი: დავით თავართქილაძე
კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი რედაქტორი: მამა სანიშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი: გიო ახვლედიანი,
ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ღარჯანია, გიორგი ვაშაყიძე

გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქტორი: ირაკლი შირაშვილი
ინფორმაციის რედაქტორი: ვია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი,
ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოღენჯაშვილი, ბადრი კვიციანი
სტილისტები: ნათელა ვიორგობანი, ლალი ვოხლიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია,
ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალისხელი,
მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი,
თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზვბისი გზის 42, 11 კორპუსი, IV სართული.
საქონლო მისამართი:
თბილისი - 79, საქონლო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00